ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, გიორგი მუსხელიშვილის წარმომადგენლობის ანგარიში

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ 2017 წლის 5 დეკემბრის N5-4 დადგენილების მე-151 მუხლის შესაბამისად, საკრებულოს მაჟორიტარი წევრის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების ვადით შეიქმნა წარმომადგენლობა.

მოგახსენებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, გიორგი მუსხელიშვილის წარმომადგენლობის თანამშრომლები ასრულებენ კანონმდებლობით, დებულებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით მათთვის დაკისრებულ მოვალეობებს. წარმომადგენლობაში მოსულ მოქალაქეს ვუწევთ შესაბამის სამართლებრივ დახმარებას, ვუწევთ შესაბამის უწყებაში შუამდგომლობას, ვარკვევთ დოკუმენტბრუნვის შუალედურ ეტაპებს, რათა ყველა ეტაპზე განვიხილოთ აღნიშნული საკითხი და შემდგომ ინსტანციაშიც ვადევნოთ თვალყური საქმის მიმდინარეობას. ვასრულებთ სხვადასხვა დავალებებს, კერძოდ, ადგილზე საქმის შესწავლისა და მოკვლევის მიზნით, გავდივართ პრობლემურ მისამართზე და ვახდენთ საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმირებას.

მიმდინარე წლის იანვრის თვიდან, ვაკის რაიონის მაჟრიტარი დეპუტატის გიორგი მუსხელიშვილის წარმომადგენლობას მომართა 780 მოქალაქემ. მიმდინარე წლის მარტის თვიდან მაისის თვის ჩათვლით, მოქალაქეებს ვუწევდით მხოლოდ სატელეფონო კონსულტაციას. ამავე პერიოდში მაჟორიტარი მივიდა ყველა ოჯახში სადაც საჭირო იყო, მცირე დახმარების გაწევა და გადასცა სასურსათო კალათები. ივნისის თვიდან ეპიდემიოლოგობის რეკომენდაციების დაცვით, პერმანენტულად იმართება შეხვედრები მოსახლეობასთან, ვაკის რაიონის სხვადასხვა უბნებში.

მოქალაქეთა პრობლემების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა ინფრასტრუქტურული სახის შემდეგი პრობლემები:

- ეზოების კეთილმოწყობა;
- ასფალტის საფარის დაგება;
- ავარიული შენობების გამაგრება;
  დაზიანებული მილების შეკეთება.

აქტუალურია სოციალური შინარსიის ისეთი პრობლემები, როგორიცა:

- მედიკამენტებით დახმარება;
- ჯანდაცვის პრობლემები.

ასვე, ხშირია მომართვა ერთჯერადი ფინანსური დახმარების თხოვნით, შუამდგომლობის უმრავლესობა, რომელიც გაეწია მოქალაქეს, ვაკის რაიონის გამგეობის მიერ გადაწყდა დადებითად. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, 501 მოქალაქეს გაეწია შუამდგომლობა სხვადასხვა უწყებებთან, მათ შორის არის კოლექტიური განცხადებებიც. მაჟორიტარი დეპუტატი უშუალოდ შეხვდა და კონსულტაცია გაუწია 2000-მდე მოქალაქეს.

მოქალაქეთა თხოვნით, ვეხმარებით სასამართლოს ნებისმიერ ინსტანციაში განცხადებისა თუ სხვა სამართლებრივ საკითხების მოგვარებაში.

მოქალაქეების უმრავლესობა მოგვმართავს, მათ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართის დაკანონების თხოვნით , რაზეც წარმომადგენლობამ რეაგირების მიზნით გააკეთა შუამდგომლობა შესაბამის უწყებაში. გამგეობის მიერ ხდება მოკვლევა, იქმნება დაინტერესებულ პირთა დაზუსტებული ნუსხა, რის შემდეგაც ხდება აღნიშნული ფართების დაკანონების საკითხის გადაწყვეტა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ვაკის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა, გიორგი მუსხელიშვილიშვილმა, მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს, მოსახლეობას წარუდგინა, მის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში.

ანგარიშის წარდგენის შემდეგ, შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, სადაც მოქალაქეებმა მაჟორიტართან ერთად განიხილეს პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ოფისი მდებარეობს ფალიაშვილის N33ა. გიორგი მუსხელიშვილი მოქალაქეებს ხვდება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 11:00 დან 14:00 საათამდე, ხოლო ოფისი ფუნქციონირებს 09:00-დან 18:00 საათამდე.